საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №16

ბათუმი

„22“ მარტი 2026 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 141-ე მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. 2026 წლის 02 ივნისიდან გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსი (შემდგომ – კონკურსი).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ დანიშნული წევრი, საარჩევნო სუბიექტი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი ან რომელიმე პარტიის შემომწირველი, აქვს უმაღლესი განათლება, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, აქვს არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

3. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადი და სხვა შესაბამისი საკონკურსო დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა, წერილობით შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის №37 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: contact@sca.ge აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის სახელზე.

4. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადში მითითებული უნდა იყოს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის სახელი და გვარი, უმაღლესი განათლება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი. განაცხადს ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა ერთვოდეს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი;

ვ) კანდიდატის ბიოგრაფია და CV;

ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

თ) არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების (თუ კანდიდატს აქვს ასეთი გამოცდილება) აღწერა;

ი) ხელწერილი, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი ადასტურებს მისი კანდიდატურის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას (დანართი №1);

კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა (დანართი №2);

ლ) ცნობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ მოთხოვნას (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა რომელიმე პარტიის შემომწირველი);

მ) ცნობა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნასა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ დანიშნული წევრი, საარჩევნო სუბიექტი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი) და მე-5 პუნქტის „ბ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტების მოთხოვნებს;

ნ) ცნობა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან იმის შესახებ, რომ პირი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

ო) ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან იმის შესახებ, რომ პირი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მოთხოვნას;

პ) ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან იმის შესახებ, რომ პირი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნას;

ჟ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.

5. შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომ – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) როინ მალაყმაძე - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის“ დირექტორი, პროფესორი;

ბ) ლევან ჯაყელი - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გ) თამარ სირაძე - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, პროფესორი;

დ) ირაკლი ქუთათელაძე - საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე;

ე) ვაჟა ცეცხლაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

6. კომისიამ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის შერჩევა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის წარდგენა.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ცოტნე ანანიძე